საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფელინუსი

აფელინუსი (Aphelinus mali), სიფრიფანაფრთიანი პარაზიტი მწერი ქალციდების ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 1,2 მმ აღწევს. იყენებენ ვაშლის საშიში მავნებლის – ბურტყლა ბუგრის წინააღმდეგ. ა. კვერცხებს ბუგრის სხეულში დებს. გამოჩეკილი მატლები ბუგრის სხეულის ქსოვილებით იკვებებიან და ღუპავენ მას. გავრცელებულია ჩრდ. ამერიკაში. ყოფ. სსრკ-ში შემოიყვანეს 1926 და 1930, გაამრავლეს ლაბორ. პირობებში და გაუშვეს კავკასიასა და უკრაინაში. საქართველოში შემოიყვანეს 1931. მისმა აკლიმატიზაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა ბუგრით გამოწვეული ზარალი.